ხელმძღვანელი და რედაქტორი ფურცელაძე, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

ფასი გაზეთისა
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.

ნასის-მომწერნი გაზეთის დახაკვე ..., რედაქციის დილის 8 საათამდე და საღამოს 6—7 ... „შ. კ. ხიზ." წიგნის მაღაზიის.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის ... სობრანიეს გვერდზე.

ივემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

... ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—54)

ც. გუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 ... კეთ.. ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოზანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ

## უმაღლესი დეპეშა

განსვენებულის დიმიტრი ყიფიანის ქვრივს ნინა ყიფიანისას შემდეგი სამძიმარო დეპეშით მიუმართნია დედოფალი იმპერატრიცისათვის:

**პეტერბურღი.** დედოფალ იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს.

„წყალობა მოიღე! დიდად მწუხარე დედოფალო დედაო და ნება მოგვეც შენს ცხარე ცრემლთა ნაკადულს შეუერთონ მწარე ცრემლები ქართველ დედებმაც უავგუსტოესის შენის ძის უდროოვოდ აღსრულებისა გამო".

დიმიტრი ყიფიანის ქვრივი ნინო ყიფიანისა.

ამ დეპეშაზე პასუხად მიუღია პატივცემულ ნინო ყიფიანისას შემდეგი:

ვარვარიანო, ნინა ივანის ასულ ყიფიანისას.

„დედოფალი იმპერატრიცა გულითად აღელვებულ იქმნა თქვენსა და ქართველ დედებს მიერ აღიარებულის ნუგეშინისცემისათვის იმ დიდად სევდა-მწუხარებისა გამო რაც ეწვია მის დედობრივ გულს მათი უდიდებულესობა მადლობას გიძღვნით თქვენა და ქართველ დედებს.

ფრეილინა ეკატერინე ოზეროვისა.

## ახალი ამბავი

*** **ცაფრების დაღადი.** მკითხველებმა უწყიან ჩვენის გაზეთიდან, რომ ზემო ქართლში სეტყვამ სულ ერთიანად გაანადგურა ოცი სოფელი.

ჩვენ შეგვიძლიან მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები: სეტყვა ნიადვრისაგან დაზარალებული ადგილის სივრცე შეადგენს თითქმის ათს ვერსტს სიგრძით და 3 ვერსტს და ზოგან ნაკლებსაც სიგანით. სეტყვისაგან არა თუ ჭირნახული და საქონელი განადგურდა, თვით გლეხკაცებისა და ზოგი თავადების სადგომებიც დაზიანდა ისეთი მძლავრი იყო სეტყვა. ამ ჟამად 4500 სული ულუკმა-პუროდ არის დარჩენილი. ფუთი ხორბალი ღირს მანათამდე. სულ უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ, დამდეგ მოსავლამდე თითო სულს მოუნდება თითო თუმანი, სულ შეადგენს 45,000 მანათს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო შემდეგისათვის დასათესად მოუნდება დაზარალებულ გლეხკაცობას 12,000—15,000 ფუთი ხორბალი. აი ასეთ მდგომარეობაში არის დაზარალებულთა დღევანდელი ყოფა-ცხოვრების საქმე.

*** **ახალი დანიშნულება.** ლეჩხუმის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწედ დანიშნულია ბ-ნი პალჩიკოვსკი, ხოლო ბათომის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწედ ბ-ნი რუდანოვსკი.

*** **რასტომიანი „შაჰინამე" ფირდოუსისა.** როგორც ვიცით ჩვენის სამწერლო ისტორიული მასალებით, სპარსთა ფირდოუსის პოემა „შაჰინამე" ქართველებს XII საუკუნეში უთარგმნიათ. შემდეგ საუკუნეში ეს თარგმანი დაკარგულა. XVII საუკუნეში, ეს პოემა კვალად სთარგმნა ხოსრო თურმანიძემ ლექსად, ამ თარგმანმა თავის დროსვე დიდი გავლენა მოახდინა ქართველებზე, ქართულ მწერლობის ასპარეზზე ძირითადი გავლენა მოახდინა, თვით მღაბიოთა გონებაც კი მიეთვისა ამ აღნაქვს და მისგან ცალკე „ბეჟანიანიც" კი გადააკეთა. დღეს ქართველ ერში „ბეჟანიანს" დიდი სახელი და მნიშვნელობა აქვს მითვისებული. ამას ყურადღება მიაქციეს თვით ევროპის ორიენტალისტებმა.

შევიტყეთ, რომ ეს ხელთ-ნაწერი დღეს უკვე ირკვევა ისტორიულად და დასაბეჭდათ მზადდება. შესწავლა და განხილვა უკისრია ისტორიკოსს მოსე ჯანაშვილს

ამ წიგნის გამოცემაც იმ ძველ წიგნებთა გამომცემელს წრეს ეკუთვნის, რომელიც ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული. ამაზე შემდეგ უფრო ვრცელს წერილს დავსტამბავთ.

*** **პროფესორი მარის შრომა.** პროფესორი ნიკოლოზ მარრი ამ ჟამად შრომობს მეათე საუკუნის ტბეთის ეკლესიის ხელთ-ნაწერს სახარებაზე. ეს სახარება ჩვენს საუნჯეს შეადგენს და იმდენად საინტერესოა, რომ იგი გაც

ნობილ იქმნეს პირუთვნელად და მიუდგომელი დაფასება გამოქვეყნდეს.

*** **ქართული ხელთ-ნაწერები ეჩმიაძინში.** როგორც შევიტყეთ ამ წიგნის შრომის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ მარრი ეჩმიაძინის სამკითხველოში მიემგზავრება სომხური ხელთ-ნაწერების გასაშინჯათ, ჩვენ ვიცით, რომ იქ რამდენიმე ძველი ქართული ხელთ ნაწერი წიგნები მოიპოვება. ამ წიგნების ცნობები დიდი ხანია ...ენში იციან, ხოლო ის კი არ ვიცით, თუ ეს წიგნები რა საგანს შეეხება.

კარგი იქნება, რომ ამ წიგნებს პროფესორმა ყურადღება მიაქციოს და ხსენებული წიგნების ნუსხა შეგვიდგინოს, მასთან მოკლე ბიბლოგრაფიაც რომ იქმნეს, მაშინ ჩვენ სრული ცნობა გვექმნება ეჩმიაძინის ბიბლიოთეკას ქართული ძველი ხელთ-ნაწერების შესახებ.

*** **გადამდები სენი ტფილისში.** 1 ივლისიდან 15 მდე ტფილისში გადამდები სენით ავად გამხდარან სახადით 12 სული, ყელ‍ჭირვებით 6 და ხუნაგით 3.

*** **ქუთაისი** სად არის ჩაკვამის მალა? ერთმა ჩიკვაიძის მომხრეთაგანმა, რომელსაც ჰკითხეს: აბა ერთი სთქვი რა მიზეზისთვის ხარ ჩიკვაიძის მომხრე, როდესაც გესმის, რომ ეს კაცი ბანკში თავის ადგილზე არ ყოფილა და ზარალის მეტი სიკეთე არა მოუტანია-რა ბანკისათვისო“, შემდეგი პასუხი სთქვა:

ბატონო მე არც კონვერსიისა, და არც სხვა საბანკო ოპერაციისა მესმის რა. მე ვიცი მხოლოდ— სანამ ჩიკვაიძემ აარჩევინა ჩემი თავი ბანკის დეპუტატად, მანამდე კაცი არ მკითხულობდა და არც არავინ მიცნობდათ. ახლა კი იმის წყალობით, რომ დეპუტატი ვარ, მთელი დასავლეთის მხარე საქართველო მიხსენიებს ყოველ დღე— ყველა მკითხულობს, ერთის სიტყვით ქვეყანაში გამოჩენილ კაცად მე ვიქენი ჩიკვაიძის მიზეზით, მის შემდეგ როგორ გინდათ, რომ ისეთი უბედურება გამოვიჩინო და ჩიკვაიძეს, რომელმაც ქვეყანაში პირველ მოღვაწეთა რიცხვში ჩამთვალა, ზდანოვიჩისა, ბაქრაძის, ნაზაროვის და სხვ. უპირატესად, გამომიყვანა, ავილო და შავი კენჭი ჩავუგდო.

თუმცა კენჭის ყრის პრაქტიკაში ამ გვარი უცნაური მოსაზრება პირველად გვესმის, მაგრამ იმ გუნდის მეკენჭეთაგან, რომლითაც ეს კენჭები ეკუთვნის—სრულიად საფუძვლიბნი არის! ამ გვარს მოსაზრებას კიდევ გაიგებს კაცი, მაგრამ ისიც ასეთი რეკლამა არ სჭიროდა, ვინც სრულიად დამოკიდებული იყო ჩიკვაიძისაგან და არასფერს მოელოდა—იმათ რაღა აქვთ სათქმელი?!

ჩიკვაიძის ერთგული სამსახური?

— არა!

საქმის, ცოდნა?

— არა!

საზოგადო საქმის უანგაროდ მობყრობა?

— არა.

მაშ რა, ეკითხებით ამ ხალხს, რომელსაც სიმხნეც კი არა აქვს, რომ პირბადე ჩამოიხადოს და საქვეყნოდ აღიარონ თავისი აზრი და პასუხად გეძლევათ ორჭოფი თავის მართლება, უშნო ღიმილი და სიტყვის ბანზე აგდება!

ნუ დაივიწყებენ ეს ვაჟბატონები, რომ უმთავრესი პასუხის მგებელნი, თუ იმ ბანკს, რომელსაც ოდესმე თავად-აზნაურობის სახელი ეწოდებოდა—რამე გაუჭირდა— პირველი პასუხის მგებელნი იქნებიან ესენი.

დეპუტატი.

*** **ტუსაღის გაპარვა.** გუშინ 16 ივლისს ნაშუადღევის სამის ნახევარ საათზედ ტფილისის მესამე მომრიგებელი მოსამართლის კანცელარიაში მოიყვანეს ტუსაღი პოლიციიდგან, რომელსაც ქურდობა თურმე ჰბრალდებოდა, პოლიციის დარაჯი კანცელარიაში შევიდა ქაღალდების ჩასაბაბარებლად და ტუსაღი კარიდორში დასტოვა; როდესაც გამობრუნდა ტუსაღის წასაყვანებლად იგი იქ აღარ დახვდა. ტუსაღს თავისთვის ეშველა და გაპარულიყო.

*** **ს. ვეჯინი** (სიღნაღის მაზრა) **დაქცეულობა.** „თავათ არ იყო ძმარიო, ნათქვამია ზედ დაასხიან წყალიო“—და სწორეთ რომ ჩვენი საქმეც ასეა. ჯერ აქამდისინ რა იყვნენ მოუსავლობისაგან და მოვალეებისაგან შეწუხებულნი ჩვენი სოფლის გლეხკაცობა, როცა ტყე მაინც ახლო ჰქონდათ და აქედამ როგორც იყო იოლს მიდიოდნენ და ეხლა, როდესაც ტყე დაიკეტა და არავის წკირსაც არ გამოატანინებენ ამის შემდეგ, ეხლა ხომ უფრო უარესად მო...ლით შევიწროვება და შეწუხებ... გარდა ამისა მთელ სოფელში ე...თი ხეირიანი გზა არ არის, ა... რომ ერთი საპალნიანი ურმის სა...ლამდის მიგორებას უნდა მოუ...დეს—ხოლმე სამი-ოთხი უღელ... საქონელი; ნამდვილი გულშემატკივარი წინამძღოლი და შემბრალებელი რომ ვსთქვათ, არა ჰყავს. და... მართლა რომ ეხლავე გაწყალებულ... ძმარსავით არის ჩვენი სოფელ... ნიათ გამოლეული. ან კი, საკვირველია, ამ პირობებით როგორ... უძლებს ჩვენი გლეხი კაცი ამდენ... ხარჯსა და ბორჯს, როგორც ჩვენს... სოფელსა აქვს.

— **მოსავლის შესახებ.** კიდ... მადლობა ღმერთს, რომ ეს ორ... თუ სამი წელიწადია მოსავალ... ცოტათ თუ ბევრად, ხელს უ... ყობთ, თორემ თქვენს მტერს, რო... გორი ცუდი დღეც დაადგებოდ... ჩვენს სოფელს. წელს თუმცა „ყვე...ლას სტუმარი“ სეტყვა ჩვენი... სოფლის ჰაერმა არ შემოუშვა თა...ვისს მიდამოში, მაგრამ თუ სე...ყვა ვერაფერს გახდა, გოლვამ ... ვისი დამართა როგორც ვენახებს... აგრეთვე ყველა მიწის მოსავალს. პურის მოსავალიც წელს ძალიან მცირეა ჩვენში. ვენახებს წელ... გვარიანად ესხა, მაგრამ ჯერ გოლ...ვამ ძალიან შეათხელა მტევანი ... რაც დარჩა იმისი იმედიც არ ... ჩვენ გლეხ-კაცს, მანამ ყურძ...ნავში ჩაყრილს არ დაინახავ... რადგანაც იმ დრომდისინ ვენახებს... ბევრი ხიფათი მოელის.

— **უსარგებლო წარმოდგენა.** შარ...შან კიდევ რის მეცადინეობით დ... გაჭირვებით, როგორც იყო, მ... ვახერხეთ წარმოდგენის გამართ...

---

## მსოფლიო გამოფენის გამო პარიზში.

**მოწვევა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა, რომ მიიღონ მონაწილეობა პარიზის მსოფლიო გამოფენაზე 1900 წელს.**

თუმცა ტფილისის და ქუთაისის გუბერნია სავსეა ყოველგვარის სიმდიდრითა და ბუნების უხვებითა და მრავლად იპოვნით ამ ქვეყნებში მადნეულობასაცა, სხვა და სხვა მცენარეულობასა და ცხოველ-პირუტყვსაცა, აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ნაღვაწ-ნაამაგევს, მაინც ზემოხსენებულის გუბერნიების მემამულენი დიდს გაჭირვებაში არიან, რადგან არ ეხერხებათ რიგიანად გამოიყენონ და მოიხმარონ სიმდიდრე და სიუხვე ბუნებისა.

რაკი საკმაო ფული და თანხა არ არის, რომელიც ისე საჭიროა ბუნების სიმდიდრის მოსაპოვებლად და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაკარგებლად, აუარებელი უხვება ჩვენის ქვეყნისა დღემდე ამაოდ სძევს და ყოველი დარგი სასოფლო მეურნეობისა ყოვლად დაცემულია და დავარდნილი.

თითოეულს ჩვენს მემამულეს, რომელიც კი ჰგრძნობს, რა გაჭირვებულ ყოფაშიაცა ვართ დღეს ეკონომიურად, ის უნდა ენატრებოდეს, რომ რაც შეიძლება ბევრმა კაპიტალისტმა გაიგოს და შეიტყოს, რა ულეველი სიმდიდრეა ჩვენს ქვეყანაში; ის უნდა ენატრებოდეს, რომ მოვიზიდოთ ბლომად ფულის პატრონები და საქმეცნიერო ცოდნით აღჭურვილნი კაცნი ჩვენის ქვეყნის სიმდიდრის გამოსაყენებლად და ჩვენის წარმოების გასაუმჯობესებლად.

ამ ნატვრის აღსრულებისათვის ბევრგვარი ღონისძიება არსებობს და მათ შესახებ აქ ლაპარაკის გაგრძელება არ შეიძლება; მაგრამ უეჭველია, რომ ამ ღონისძიებათა შორის უნდა ჩაითვალოს პარიზში განძრახული მსოფლიო გამოფენაცა; იქ, იმ გამოფენაზე ჩვენ შეგვიძლიან დაახლოვებით გავაცნოთ დიდ-დიდნი წარმომადგენელნი მსოფლიო ვაჭრობისა, როგორც ჩვენის ბუნების ულეველ სიმდიდრესა, ისე ჩვენის სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა ნაწარმოებსა.

ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თუმცა ჩვენი სასოფლო მეურნეობის კულტურა და მრეწველობა პირვანდელ მდგომარეობაშია, მაინც ზოგიერთი იმისი დარგი, როგორც მაგ. ღვინო, ხილეული, ხორბლეული, მატყლეული, აბრეშუმეული, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები და სხვანი და სხვანი დღესაც მოცილეობას უწევენ მსოფლიო ბაზარზე ევროპის ამ გვარსავე ნაწარმოებსა, რადგან თვითეული ეს დარგი მაღალის ღირსებისაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სახარბიელო მოცილეობით სარგებლობენ არა თვით ჩვენი მემამულენი, არამედ ჩარჩი ვაჭრები, რომელნიც ჩალის ფასად ყიდულობენ ჩვენს ნაწარმოებსა და მეტის-მეტად ძვირად კი ჰყიდიან ჩვენის ქვეყნის გარეშე.

მემამულეთ მხოლოდ ისა აქვთ აზრად, რომ ყოველ მხრივ, გააცნონ წარმომადგენელნი კაპიტალისა და სატეხნიკო ცოდნის ტფილისისა და ქუთაისის გუბერ...ნიებსა; ამიტომ მიმართავენ მ...მულეებს ზემოხსენებულ ორ... გუბერნიისას, რათა დაეხმარნ... აზრის განხორციელებისათვის ... რომ მიიღონ მონაწილეობა პარიზის გამოფენაზე.

პარიზის მსოფლიო გამოფენა დაიწყება 3 აპრილს 1900 წ. და გათავდება იმავე წლის 24 ოქტომბერს. ჩვენის ექსპონატების განყოფილებას მოსაწყობად და მათ დასალაგებლად შესაფერ ადგილზე იმ პირთა ჩვენებით, რომელთაც მინდობილი ექნებათ 1900 წ. პარიზის მსოფლიო გამოფენაზე რუსეთის განაპირა ქვეყნების (მათ შორის კავკასიის) განყოფილების მოწყობა, ამორჩეულია კომიტეტი, რომელიც იკისრებს ყოველგვარს შრომასა და ხარჯსა, რომელიც კი საჭირო იქნება, რომ მიიღოს

